რეგიონის რესურსული პოტენციალისა და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის მნიშვნელობა ინტეგრაციულ სქემაში

ქეთევან ღარიბაშვილი,
სტუ-ს დოქტორანტი

საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში ზღვისპირა და ცენტრალური მდებარეობით გამოირჩევა, რაც დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველო იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს. სწორედ მასზე გადიოდა ევროპა აზიის დამაკავშირებელი ძველი საქარავნო აბრეშუმის გზა.

საერთაშორისო არენაზე მომხდარმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გამოკვეთა კავკასიის გეოპოლიტიკური ადგილი. დღეს უკვე აღარ იწვევს ეჭვს კავკასიის ძირითადი ფუნქცია, შეასრულოს ერთგვარი ხიდის როლი ცენტრალური აზიის უდიდეს რეგიონსა და ევროპას შორის. აღასანიშნავია, რომ საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონის სტაბილური ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება მჭიდროდ დაუკავშირდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის გადაზიდვასა და ევროაზიული სატრანსპორტო დერეფნის პროექტებს.

საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა, ქვეყნის ისტორიულად ევროპული ორიენტაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომლის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს.

საქართველოსთვის, რომელიც სახელმწიფოებრივი მშენებლობის რთულ პროცესში იმყოფება გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ფუნქციის შეძენას, ისეთ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების ამოცანა ჯერ კიდევ მწვავედ დგას დღის წესრიგში, უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სატრანზიტო ფუნქცია ერთ-ერთი ამგავრი გარანტიათაგანია, ვინაიდან იგი მკვეთრად ზრდის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესს, ეს ინტერესი განპირობებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან იმ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დაკვეთით, რაც საქართველოს მიერ ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი როლის შესრულებას უკავშირდება. დღეს ეს როლი მგზავრთა და ტვირთების სატრანზიტო გადაზიდვებს გულისხმობს.[1] პერსპექტივაში სატრანზიტო დერეფანმა, რომლის განვითარებაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მასთან ერთად თანამედროვე ბიზნესეთიკის გავრცელებასთან არის დაკავშირებული, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების დემოკრატიზაციისა და საბაზრო ურთიერთობის პრინციპებზე დაფუძნებული რეფორმების პროცესების გაღრმავებას უნდა შეუწყოს ხელი. შესაბამისად, სატრანზიტო დერეფანი მომავალში იმ „ფასეულობების დერეფნად" იქცევა, რომელიც ევრაზიის სივრცეში სტაბილურობის მყარი გარანტიების შექმნას შეუწყობს ხელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის მნიშვნელობა სცილდება ქვეყნის ფარგლებს და ვრცელ რეგიონულ განზომილებას იძენს.

საქართველოს მიერ ევროპა-აზიის დამაკავშრებელი სატრანზიტო ქვეყნის როლის მოპოვებას საუკუნეების მანძილზე ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოპლიტიკლური მდგომარეობა, რამაც ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და განაპირობა

[1] საქართველოს რკინიგზა. პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2008.

აღნიშნული ფუნქციის განმტკიცება და საერთაშორისო აღიარება.

„დიდი აბრეშუმის გზა" გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლინებაა, რომელიც უკვე მუშაობს და სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი და სატელეკომუნიკაციო ქსელი.

სწორედ საუკუნის ბოლოს საქართველოს უჩნდება პერსპექტივა დაიბრუნოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი ხიდის ფუნქცია. ეს ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობის გარანტი იქნება.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ამიერკავკასიის, შუა და ცენტალური აზიის, აღმოსავლეთისა და სხვა სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარებისა და ამ რეგიონში პოლიტიკური სტაბილიზაციის საქმეში. დიდი აბრეშუმის გზის ისტორიული და დღევანდელი არსებობა ყოველთვის იქნება დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის ძლიერებასთან და სტაბილურობასთან.

ტრასეკა იგივე ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი ანუ ახალი აბრეშუმის გზა არის სახელმწიფოთაშორისი პროგრამა, რომელსაც ხელი 1998 წელს მოეწერა. იგი მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონის, კავკასიის და შუა აზიის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას საერთაშრისო ტრანსპორტის — პორტების, რკინიგზის და ავტომაგისტრალების — გაუმჯობესების გზით. რეალურად, იდეა ითვალისწინებს იმ უძველესი მარშრუტის აღდგენას, რომლითაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალი ვაჭართა ქარავნები კასპიის ზღვის, საქართველოს, შავი ზღვის და შემდეგ ბოსფორის გავლით ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს უკავშირდებოდნენ.

1993 წელს ევროკომისიის ინიციატივით შექმნილი რეგიონული პროგრამა ტრასეკა გახდა საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის პირველი შესაძლებლობა, რომელმაც ხელი შეუწყო რეგიონში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, მათ შორის რკინიგზის მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება დაკავშირებულია როგორც ქვეყნის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის სრულყოფასთან, ისე ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის საერთო კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს ყარსი-ახალქალაქის დაგეგმილი სარკინიგზო ხაზის მნიშვნელობა და 2006წ. ოქტომბერში ხელმოწერილი ოქმი, რომლის თანახმად აღნიშნული სარკინიგზო დერეფნით აზერბაიჯანთან ერთად ყაზახეთი და ჩინეთიც ისარგებლებს. ამავე დროს, არსებითი მნიშვნელობა ექნება რეგიონის ქვეყნების მიერ ერთიანი სატრანზიტო პოლიტიკის განხორციელებას. პირველ რიგში ეს საქართველოსა და აზერბაიჯანის კოორდინირებულ ქმედებას გულისხმობს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ერთიანი რეგიონალური პოლიტიკა დაეფუძნოს ევროპის საერთო სატრანსპორტო სტრატეგიას სამხრეთ კავკასიასა და ტრანსკასპიისპირეთთან მიმართებაში. მიუხედავად მზარდი კონკურენციისა, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ქმედითუნარიანობის გაზრდის პერსპექტივა არსებობს, რაც, ერთის მხრივ, არსებულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ რეალიებს ეფუძნება და, მეორეს მხრივ, თვით დერეფნის ძირითადი პარამეტრების გაუმჯობესების შესაძლებლობით არის განპირობებული. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული მიზნების მიღწევაში ევროკავშირს სხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთად არსებითი როლის შესრულება შეუძლია.

საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაცია. მათ შორის პრიორიტეტულია ევროინტეგრაცია, ევროპულ ოჯახში გაწევრიანება. საქართველო ავითარებს მრავალმხრივ ურთიერთობებს მსოფლიო ინტეგრაციისკენ.[2] ამ პროცესებში საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სწორედ ამიტომაც, საქართველოს ტრანსპორტი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური, სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს საფუძველს.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სატრანზიტო და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის გაძლიერებას. იგი ჩართულია საერთაშორისო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში. ამ ფუნქციის გაძლიერება და რეალიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისთვის.

[2] საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი.

გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ამიტომაც დღეისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის, ეკონომიკური კარგახსნილობის პირობებში ჩვენი სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება, საქართველოს მოუტანს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს რკინიგზა. პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2008.
2. საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი www.mfa.gov.ge.

SIGNIFICANCE OF REGIONAL RESOURCE POTENTIAL AND TRANSIT FUNCTION OF GEORGIA IN THE INTEGRATION DIAGRAMS

QETEVAN GHARIBASHVILI - PhD of GTU

Acquisition of international functions is of prime importance for Georgia, which is in the process of state building. Under the conditions, when the task of strengthening of independence and state sovereignty still acutely appears on the agenda, international security guaranties take on crucial significance.

Due to its geographical location Georgia has a chance to actively involve in the global integration processes. That's why today the improvement of transport infrastructure is the most important precondition of national economic and social development. In the conditions of present-day world globalization and economic openness the complete assimilation of our transit potential will give Georgia very important political and economic benefits.